სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):40 იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი

1.22 წამების გამოძიება

ტრენინგის მიზანი: პროკურორებისთვის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების ეფექტიანი გამოძიებაზე უცხო ქვეყნების პრაქტიკის გაცნობა

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტია. ტრენინგის ფორმატი ინტერაქტიულია, მონაწილეები დისკუსიაში შედიან მომხსენებელთან, უზიარებენ საკუთარ პრაქტიკას და მსჯელობენ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივრების ეფექტიან გამოძიებაზე . ტრენინგი მიმდინარეობს კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ტრენინგის თემატიკა:

• წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით, პარალელები ქართულ კანონმდებლობასთან;

• არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობა და სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა;

• ევროპული კონვენციის მესამე მუხლის ფარგლები; წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამოძიების სტანდარტები;

• ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმოხილვა;

• არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება (საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული მექანიზმის შესაბამისობა);

• არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები (მსხვერპლის დაკითხვა და მისი სამედიცინო ექსპერტიზა სტამბულის ოქმის მიხედვით);

ტრენინგის ხანგრძლივობა:10 საათი (2 დღე)

ტრენინგის თარიღი:23-24 ივნისი; 13-14 ივლისი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):40 პროკურორი

1.23 ELSA L@W EVENT 2012

ახალგაზრდა ევროპელ სტუდენტთა ასოციაცია

ტრენინგის მიზანი: ახალგაზრდებისათვის იურიდიული ტრენინგების ჩატარება, სამართლებრივი რეფორმების გაცნობა.აგრეთვე, დამატებითი მოტივაციის გაჩენა სტუდენტებში სხვადასხვა კერძო იურიდიულ კომპანიებსა თუ

საკონსულტაციოდაწესებულებებშისამართლებრივი პრაქტიკების განხორციელების შესაძლებლობის შეთავაზებით.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა:

ლექცია-სემინარის ტიპის ინტერაქტიული პრეზენტაციები სტუდენტებისათვის. მოიცავს ჯგუფურ სავარჯიშოებს, საერთაშორისო სამართლებრივი კაზუსების განხილვასა და პრაქტიკაში იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვას სტუდენტების მონაწილეობით.

ტრენინგის თემატიკა:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- საერთაშორისო სასამართლოების იურისდიქცია და საქართველო;
- ჩვეულებითი სამართლის ნორმა, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის წყარო;
- საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესი;
- საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია;
- ფიზიკური პირების სუბიექტუნარიანობა;
- ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განვითარება;
- შეიარაღებული კონფლიქტები;
- სესეცია, თვითგამორკვევის უფლება;

ტრენინგის ხანგრძლივობა:24 საათი (8 დღე)

ტრენინგის თარიღი:4-11 აპრილი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 34სტუდენტი

1.24 სატელეფონო მომსახურება

ტრენინგის მიზანი:სატელეფონო მომსახურებისერთიანისტანდარტისდანერგვა,ქოლ–ცენტრისთანამშრომელთამხრიდანმოქალაქეებისხარისხიანიდადროულიმომსახურების უზრუნველსაყოფად.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა:ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის პროგრამა შედგება 2 ნაწილისაგან: (1) თეორიული – ეფექტიანი სატელეფონო კომუნიკაციის საკვანძო საკითხების გაცნობა; (2) პრაქტიკული – სავარჯიშოები და როლური თამაშები: ,,იმიტირებული სატელეფონო მომსახურების“ აუდიო-ჩაწერა, განხილვა და ანალიზი.ტრენინგის განმავლობაში დისკუსიების, პრაქტიკულისავარჯიშოების, იმიტირებული სატელეფონო მომსახურების განხილვისა და ანალიზის დახმარებითტრენინგის მონაწილეები გამოიმუშავებენეფექტიანი სატელეფონო მომსახურებისათვისსაჭიროუნარ-ჩვევებს.

ტრენინგის თემატიკა:

- ეფექტიანი სატელეფონო კომუნიკაცია და მომსახურება
- აქტიური მოსმენის ტექნიკა
- პოზიტიური ფორმულირების ტექნიკა
- ასერტიული უარის ფორმულირება
- ეფექტიანი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია
- შეკითხვის დასმის ტექნიკა
- რთულ მოიქალაქესთან ურთიერთობა

ტრენინგის ხანგრძლივობა:2 დღე (16 საათი).

ტრენინგის თარიღი: 10-11 მარტი; 2-6 მაისი; 30-31 მაისი; 18-19 აგვისტო; 24-25 აგვისტო; 9-10 სექტემბერი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა): სულ - 80 (32 მერიის თანამშრომელი, 15 -,,არქიმედეს გლობალ ჯორჯია“, 33 - იუსტიციის სახლი)

1.25 ფსიქოლოგია იურისტებისთვის

ტრენინგის მიზანი:სტუდენტებისათვის იურიდიული ფსიქოლოგიის განსხვავებული ასპექტების გაცნობა და იურისტის პროფესიულ საქმიანობაში ფსიქოლოგიური ცოდნის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება.

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით ორგანიზებას გაუწია სამართლის სკოლას თემაზე "ფსიქოლოგია იურისტებისთვის". პროექტი განხორციელდა მთელი საქართველოს მასშტაბით და მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა:ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის განმავლობაში განსხვავებულ თემებზე დისკუსიების, პრაქტიკულისავარჯიშოების, მცირე ჯგუფებში მუშაობისა და პრეზენტაციების მომზადების დახმარებითტრენინგის მონაწილეებმა განივითარეს სამართლებრივი და ანალიტიკურიაზროვნება.

ტრენინგის თემატიკა:

- ეფექტიანი კომუნიკაცია იურისტის პროფესიულ საქმიანობაში;
- პიროვნებისა და ქცევის ფსიქოლოგია;
- დევიაციური ქცევის ფსიქოლოგია;
- დამნაშავეთა ძირითდი კატეგორიების ფსიქოლოგიური თავისებურებანი;
- არასრულწლოვანთა ფსიქოლოგია;
- ნაფიც მსაჯულთა ფსიქოლოგია;
- დაზარალებულის ფსიქოლოგია;

ტრენინგის ხანგრძლივობა:4 დღე (32 საათი)

ტრენინგის თარიღი:7-10 მაისი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):28 სტუდენტი

1.26 მიზნების დასახვა SMART-ის პრინციპით

ტრენინგის მიზანი: სამსახურეობრივი მიზნების დასახვა და მათი განხილვა. შეხვედრა განხორციელდა იუსტიციის სამინისტროს შუა და ზედა რგოლის მენეჯერებთან.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: დისკუსიის რეჟიმი, ღია საუბრები და განხილვები შესაძლო პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

ტრენინგის თემატიკა: მენეჯერების მიერ სამსახურეობრივი პრიორიტეტების გამოვლენა და მათზე მუშაობა.

- პროექტები;
- სამომავლო გეგმები;
- მიზნები და თანამშრომლებისათვის ფუნქციების სწორი დელეგირება;

ტრენინგის ხანგრძლივობა:16 საათი (2 დღე)

ტრენინგის თარიღი:18-19 თებერვალი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 25მონაწილე, იუსტიციის სამინისტროს შუა და ზედა რგოლის მენეჯერი.

1.27 ტოპ-მენეჯერების ტრენინგი "Executive Training"

ტრენინგის მიზანი: აღმასრულებელი მენეჯმენტისათვის მართვის თანამედროვე და ახლებური ხედვის დანერგვა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ პრეზენტაციების მომზადება და საერთაშორისო თემატური კაზუსების განხილვა.

ტრენინგის თემატიკა:

- ფინანსები;
- ეფექტიანი მენეჯმენტი და თანამედროვე მართვის ტექნიკები;

• ლიდერობა;

ტრენინგის ხანგრძლივობა:44 საათი (11 დღე)

ტრენინგის თარიღი:21-31 მაისი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 25 მონაწილე, ტოპ მენეჯმენტი

1.28 კიბერ-დანაშაულის გამოძიება (BICEP)

ტრენინგის მიზანი: კიბერდანაშაულის გამოძიების ტექნიკების შესწავლა და მათი პრაკტიკაში გამოყენება.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება. სავარჯიშოების მეშვეობით კიბერ დანაშაულებრივი საქმეების ადგილზე გამოძიება, აღნიშნულ თემატიკაში უკეთესი პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებისა და სამომავლოდ მათი გამოყენების მიზნით.

ტრენინგის თემატიკა:

• თემატური პროგრამები,

• ინტერნეტ დანაშაულების ძიება და მათი გამოვლენა;

ტრენინგის ხანგრძლივობა:60 საათი (10 დღე)

ტრენინგის თარიღი:13-22 მარტი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 24მონაწილე - იუსტიციის სამინსიტროს, საგარეო საქმეთა სამინისროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი

1.29 ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები

ტრენინგის მიზანი: პროკურატურის თანამშრომლების ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების გავარჯიშება და მომზადება. ტრენინგი ტარდება ეტაპობრივად.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიული ხასიათისაა. მონაწილეებსმოსამზადებელიაქვთ დავალება. ტრენინგ მოდულში გათვალიწინებულია როლური თამაშები, ასევე იმიტირებული სასამართლო პროცესი.

ტრენინგის თემატიკა:

- ფაქტების დადგენა ფაბულის შედგენა, მოწმეების განსაზღვა
- შესავალი სიტყვის მომზადება
- დასკვნითი სიტყვის მომზადება
- მოწმის მომზადება სასამართლო პროცესისათვის
- იმიტირებული პროცესი

ტრენინგის ხანგრძლივობა:18 საათი (2 დღე)

ტრენინგის თარიღი:25 -26 იანვარი; 27-29 თებერვალი

სამიზნე ჯგუფი:25 პროკურორი

1.30 ინოვაცია და ცვლილებების მენეჯმენტი

ტრენინგის მიზანი:მონაწილეებისათვის მენეჯმენტის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება და ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭირო უნარების განვითარება.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა:ტრენინგიინტერაქტიულია. ტრენინგის განმავლობაში განსხვავებულ თემებზე დისკუსიების, პრაქტიკულისავარჯიშოების, მცირე ჯგუფებში მუშაობისა და პრეზენტაციების მომზადების, ასევე ცნობილი და წარმატებული კომპანიების შემთხეევებისგანხილვისა და ანალიზისდახმარებითტრენინგის მონაწილეები

განივითარესმენეჯმენტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

ტრენინგის თემატიკა:

- ზოგადი პოლიტიკის ანალიზი
- კრეატიული აზროვნება
- კრიტიკული გადაწყვეტილების მიღება
- მოლაპარაკების უნარები
- ორგანიზაციული ცვლილება
- ადამიანური რესურსების მართვა
- ჯგუფების მართვა

ტრენინგის ხანგრძლივობა:2 დღე (16 საათი).

ტრენინგის თარიღი: 11-12 ივნისი; 16-17 ივნისი;

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა): სულ - 24 (15 - იუსტიციის სამინსიტორს თანამშრომელი, 9- მერიის და გამგეობის თანამშრომელი)

1.31 კლინიკა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის- თეორიული კურსი

ტრენინგის მიზანი: პროკურატურის პრაქტიკანტებისთვის თეორიული მომზადების კურსი, რაც გულისხმობდა პროკურატურაში არსებული სიახლეების გაცნობას.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინატერაქტიული ხასიათისაა, მონაწილეებს ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის დავალებები როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური.ასევე, განხორციელდაროლური თამაშები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების ტრენინგის ფარგლებში.

ტრენინგის თემატიკა:

- სამართლებრივი წერა
- ადამიანის უფლებები
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება
- სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა
- სამართლებრივი ორგანოების მოკლე მიმოხილვა, იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციები
- პროკურატურაში განხორციელებული რეფორმები

ტრენინგის ხანგრძლივობა:54 საათი (7 დღე)

ტრენინგის თარიღი:20 თებერვალი- 28 თებერვალი

სამიზნე ჯგუფი:23 სტუდენტი

1.32 სემინარი "უსაფუძვლო გამდიდრება"

ტრენინგის მიზანი: თეორეტიკოსი იურისტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, არსებული კაზუსების განხილვა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: სემინარის ტიპის შეხვედრა, კანონის კონკრეტული მუხლებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ლიტერატურის დახმარებით ჯგუფური სამუშაოების განხორციელება.

ტრენინგის თემატიკა: უსაფუძვლო გამდიდრება

ტრენინგის ხანგრძლივობა:8 საათი (1 დღე)

ტრენინგის თარიღი:23 თებერვალი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 23მონაწილე, იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომელი

1.33 სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელ.სისტემა

ტრენინგის მიზანი: კურსის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ტიპის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესწავლა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი პრაქტიკული ხასიათისაა, მონაწილეები უშუალოდ პროგრამასთან მუშაობდნენ და საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ეფექტინად გამოყენების ძირითად საკითხებს ეცნობოდნენ.

ტრენინგის თემატიკა: ელექტრონულად პროცესუალური დოკუმენტების შედგენა და საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ეფექტიანად გამოყენების ძირითადი საკითხების განხილვა.ამასთან, ტრენინგები ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამებზე:

- სასამართლოს ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამა;
- სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა;
- ნორმატიული აქტების წარმოების ელექტრონული პროგრამა;
- კანცელარიის ელექტრონული პროგრამა;
- საგადასახადო საქმეთა წარმოების ელექტრონული პროგრამა.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 9-15 საათი (3-5 დღე)

ტრენინგის თარიღი: 28 მაისი-1 ივნისი; 20-22 იანვარი; 14-18 ივნისი; 3-7 დეკემბერი

სამიზნე ჯგუფი: სულ - 51 (ასევე, 56 სტუდენტი და 12ფინანსურის გამომძიებელი)

1.34 ქონების რეალიზაციის სხვადასხვა გზები, ელექტრონული აუქციონი

ტრენინგის მიზანი: ტრენერთა გადამზადების კურსი, არსებული რესურსის გადამზადება სამომავლოდ დაგეგმილი ტრენინგების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: პრეზენტაციის ტიპის ტრენინგი გაჯერებული ინტერაქტიული სავარჯიშოებითა და მონაწილეთა აქტიური მონაწილეობით.

ტრენინგის თემატიკა:

- ელექტრონული აუქციონი.

ტრენინგის ხანგრძლივობა:8 საათი

ტრენინგის თარიღი:13 ივლისი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 18აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი

1.35 ტრენინგი საერთაშორისო სავაჭრო სამართალში და საინვესტიციო არბიტრაჟებში

ტრენინგის მიზანი: საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სტანდარტების გაცნობა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ლექცია სემინარის ტიპის ტრენინგ ფორმატი. პრეზენტაცია საერთაშორისო სტანდარტებზე და მათი პრაქტიკული გამოყენების გზებზე.

ტრენინგის თემატიკა:

- საერთაშორისო სავაჭროს სამართალი,
- საინვესტიციო დავები, არბიტრაჟები;

ტრენინგის ხანგრძლივობა:8 საათი

ტრენინგის თარიღი:23 თებერვალი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 17 იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი.

1.36 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ვერმონტში

ტრენინგის მიზანი: პროკურორებისთვის უცხოური გამოცდილების გაზიარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია, მონაწილეები დისკუსიაში შედიან მომხსენებელთან, უზიარებენ საკუთარ პრაქტიკას და მსჯელობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაზე ვერმონტში განხორციელებული რეფორმების მაგალითზე.

ტრენინგის თემატიკა:

- ვერმონტის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება
- ვერმონტის სასამართლო სისტემა: ცვლილებამდე, ცვლილების შემდეგ და სასამართლო პროცესის დროს
- პროკურორის, კანონის და სასამართლოს როლი სამივე საფეხურზე

ტრენინგის ხანგრძლივობა: 3 საათი (1 დღე)

ტრენინგის თარიღი: 21 სექტემბერი

სამიზნე ჯგუფი: 17 პროკურორი

1.37 ტრენინგი ექიმების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ

ტრენინგის მიზანი: პროკურორებისთვის ინფორმაციის მიწოდება თუ რა დეტალები და ფაქტორებია მნიშვნელოვანი ექიმების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დროს.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია, მონაწილეები დისკუსიაში შედიან მომხსენებელთან. უზიარებენ საკუთარ პრაქტიკას და მსჯელობენ ექიმების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების თემის ირგვლივ.

ტრენინგის თემატიკა:

• სამედიცინო სამართალი და მისი წყაროები (კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, საექიმო საქმიანობის შესახებ, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ და ა.შ. საერთაშორისო კანონმდებლობა);

• ექიმისა და პაციენტის უფლება-მოვალეობები (შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხილვა);

• სამედიცინო დაწესებულებები (ორგანიზაციული სტრუქტურა და სამართლებრივი ფორმა, ფუნქციები, მათი უფლებები და მოვალეობები, კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მათ საქმიანობას);

• ექიმები სპეციალიზაციის მიხედვით(მაგალითად: პედიატრის, გინეკოლოგის, ეპიდემიოლოგის და ა.შ. ფუნქციები);

• სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობა (კანონმდებლობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, სამედიცინო დახმარების გაწევის პროცედურები, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება-აღრიცხვა, პასუხისმგებელი პირები და ა.შ.);

• საავადმყოფოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი (ბრძანებები, დებულებები, წესდებები და ა.შ.);

• სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულება (სამართლებრივი საფუძველი, შეტყობინებაზე პასუხიმგებელი პირი, რა შემთხვევაში ხდება და ა.შ.);

• პირველადი (მათ შორის გადაუდებელი) და შემდგომი სამედიცინო დახმარება (პროცედურები - რომელ განყოფილებაში ხდება ავადმყოფის მიღება, ვინ უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, როგორ ხდება მისი გადამისამართება შესაბამისი სპეციალობის მქონე ექიმთან შემდგომი მკურნალობის მიზნით და ა.შ.);

• საავადმყოფოებში სამედიცინო დოკუმენტაციის (ავადმყოფის ისტორიის) შედგენისა და აღრიცხვის წესი(სად და როგორ ხდება მონაცემების რეგისტრაცია, რა მოცულობის

ინფორმაცია ფიქსირდება, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს ავადმყოფის სამედიცინო ბარათი, ვინ არის მათ შედგენაზე და აღრიცხვაზე პასუხისმგებელი და ა.შ);

• სამედიცინო ეთიკის კომისია და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

• სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო პერსონალის მიერ ჩადენილი გადაცდომების ფაქტებზე რეაგირებას (მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, დარღვევების განხილვის პროცედურები და ა.შ);

• სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, როგორც პირველადი, ისე კომისიური (კანონმდებლობა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ექსპერტები დასკვნის შედგენისას, ექსპერტისათვის დასასმელი შეკითხვები - რა კითხვებზე არის შესაძლებელი პასუხის გაცემა და რაზე არა, დასკვნის გასაცემად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტაცია და ა.შ);

• სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მოწმედ დაკითხვის ტექნიკა

• ციხის საავადმყოფოების სტრუქტურა და საქმიანობა (როგორ ხდება პაციენტების მიღება, სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვა, რა სახის სამედიცინო დახმარების გაწევა შეუძლიათ და ა.შ)

• სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 130-133-ე მუხლები

• ამ კატეგრიის დანაშაულების გამოძიებისას რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება

ტრენინგის ხანგრძლივობა:20 საათი (3 დღე)

ტრენინგის თარიღი:12-14 ივნისი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) :11 პროკურორი

1.38 მედია სპიკერების ტრენინგი

ტრენინგის მიზანი: მედიასთან ურთიერთობის ტექნიკებისა და საჯარო გამოსვლების შესწავლა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინატერაქციული ხასიათისაა, მონაწილეებს ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის დავალებები როგროც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური. ატარებდნენ პრეზენტაციებს და როლური თამაშების მეშვეობით ტრენერი ახდენდა პრეზენტატორის შეფასებას მისი საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევებზე დაკვირვებით.

ტრენინგის თემატიკა:

- მედიასთან ურთიერთობის ტექნიკები
- საჯარო გამოსვლები

ტრენინგის ხანგრძლივობა:36 საათი (9 დღე)

ტრენინგის თარიღი:2-21 აპრილი; 1-26 ივნისი; 9 ივლისი - 1აგვისტო

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) :21 იუსტიციის სამინისტოროს თანამშრომელი

1.39 მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის საბაზისო მომზადების კურსი

ტრენინგის მიზანი: მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისათვის სამართლებრივი ორგანოების, სტრუქტურისა და ფუნქციების გაცნობა. მათი მომზადება სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. საბაზისო ინფორმაციის მიწოდება კოორდინატორებისათვის არასრულწლოვნების თავისებურებანისა და მოწმის მომზადების შესახებ. ასევე, ეფექტიანი კომუნიკაციის სტანდარტის გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენება. ამასთან დაზარალებულის იდენტიფიცირება, ფსიქოლოგიური მახასიათებლების გაცნობა, სტრესული რეაქციების ამოცნობა და მათი დაძლევის შესაძლო სტრატეგიების შეცნობა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის მონაწილეები ეცნობიან ინფორმაციას, მონაწილეობენროლურთამაშებსადადისკუსიებში, როლურითამაშების,

დისკუსიებისადაპრაქტიკულისავარჯიშოებისდახმარებითგამოიმუშავებენმოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისათვის საჭიროპრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ტრენინგის თემატიკა:

- ეფექტიანი კომუნიკაცია
- დაზარალებულებისთვის დახმარების გაწევა დანაშაულით გამოწვეული სტრესული რეაქციების დაძლევაში
- არასრულწლოვნების თავისებურებანი
- დაზარალებულის იდენტობა, ფსიქოლოგიური მახასიათებლები, სტრესული რეაქციები და მათი დაძლევის სტრატეგიები.
- საკანონმდებლო სისტემის მიმოხილვა
- სამართლებრივი ორგანოების მიმოხილვა, სტრუქტურა და ფუნქციები
- სისხლის სამართლის პროცესი
- სისხლის სამართალი

ტრენინგის ხანგრძლივობა:40 საათი (5 დღე)

ტრენინგის თარიღი: აპრილი, 2012

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):10 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორობის კანდიდატი

1.40ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ახალგაზრდული სამუშაო“ (Youth Work)

ტრენინგის მიზანი: ახალგაზრდა ტრენერთა გადამზადება ახალგაზრდული სამუშაოს კუთხით მათი მომავალი საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის მონაწილეები მონაწილეობენდისკუსიებში, ასრულებენპრაქტიკულსავარჯიშოებს,

განიხილავენსხვადასხვატიპისრთულსიტუაციებს, რითაც გამოიმუშავებენახალგაზრდებთნ მუშაობის საჭიროუნარ-ჩვევებს.

ტრენინგის თემატიკა:

- ახალგაზრდებისფსიქოლოგიურიდასოციო-კულტურილიგანვითარებისთავისებურებები
- ლიდერობა
- ახალგარდულისამუშაოსისტორია და თანამედროვემიმართულებები

ტრენინგის თარიღი:5-8 ივნისი

ტრენინგის ხანგრძლივობა:32 საათი (4 დღე)

სამიზნე ჯგუფი:იუსტიციის სამინისტროს 10 თანამშრომელი

1.41 შესყიდვების კანონმდებლობა

ტრენინგის მიზანი: შესყიდვების კანონმდებლობაში არსებული სიახლეების გაცნობა

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი სალექციოხასიათისაა, თუმცა, დატვირთულია აგრეთვე პრაქტიკული სავარჯიშოებით.

ტრენინგის თემატიკა:

- გამარტივებული შესყიდვების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი
- გამარტივებული და ალტერნატიული შესყიდვა
- სატენდერო განცხადება. სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსებისა და ცვლილებების შეტანა

• წინადადების წარდგენა

• ტექნიკური საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტთა მიმართ და შესყიდვების ობიექტის აღწერის წესი

• შერჩევა/შეფასება, დისკვალიფიკაცია, სატენდერო კომისია, ინტერესთა კონფლიქტი, შესყიდვის პრცედურების შეჩერება და შეწყვეტა

• ხელშეკრულება (გაფორმება; დამატება და ცვლილება; შესრულების გარანტია და დაზრვევა; ხელშეკრულების შესრულების კონტროლი)

• სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

• სისტემის მომხმარებლის-შემსყიდველის რეგისტრაცია

• შემსყიდველის მიერ e-ტენდერის გამოცხადება

• გამარჯვებული პრეტენდენტების გამოვლენა და სახელწიფო შესყიდვებისშესახებ ხელშეკრულების დადგენა

• პრაქტიკული მეცადინეობა

• შესყიდვების ობიექტების ინდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი

• შესყიდვების პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებული ჯარიმები

• შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვა

ტრენინგის ხანგრძლივობა:24 საათი (8 დღე)

ტრენინგის თარიღი:30 მარტი-6 აპრილი

სამიზნე ჯგუფი: 5განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესყიდვების კოორდინატორები

1.42ტრენინგი პატიმრობის კოდექსსა და პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტზე

ტრენინგის მიზანი: პატიმრობის კოდექსისა და პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა და პროკურორებისთვის გაცნობა

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის მონაწილეები მონაწილეობენდისკუსიებში და მსჯელობენ პატიმრობის კოდექსისა და პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტის ირგვლივ. თემატიკა წარმოდგენილია პრეზენტაციების სახით და ტრენინგის მონაწილეები ჩართულები არიან თემების განხილვაში დისკუსიის ფორმატში.

ტრენინგის თემატიკა:

- საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიმოხილვა
- ციხის ევროპული წესები
- არასრულწლოვანი და ქალი პატიმრების უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით
- არასრულწლოვანი და ქალი პატიმრების უფლებები ციხის ევროპული წესების მიხედვით
- გრძელვადიანი და უვადო პატიმრების უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით
- გრძელვადიანი და უვადო პატიმრების უფლებები ციხის ევროპული წესების მიხედვით
- პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით
- პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება ციხის ევროპული წესების მიხედვით

ტრენინგის ხანგრძლივობა:18 საათი (2 დღე)

ტრენინგის თარიღი:27-28 აგვისტო

სამიზნე ჯგუფი:6 პროკურორი

ტრენინგის მიზანი: სტატისტიკური მონაცემების გაცნობა სისხლის სამართლის ელექტრონულ საქმის წარმოებაში

1.43სისხლის სამართლის ელექტრონული საქმის წარმოების სტატისტიკური მოდელი

ტრენინგის მიზანი: სისხლის სამართლის ელექტრონული საქმის წარმოების სტატისტიკური მოდელის გაცნობა

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი დატვირთულია პრაქტიკული მეცადინეობებით

ტრენინგის თემატიკა:

- სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების სტატისტიკური მონაცემების მოძიება.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 3 საათი (1 დღე)

ტრენინგის თარიღი:20 მარტი; 22 მარტი

სამიზნე ჯგუფი:64 პროკურორი

1.44 ინგლისური ენის კურსი

ტრენინგის მიზანი: იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლების ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება, რაც საშუალებას აძლევს მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით გამოიყენონ ტრენინგზე მიღებული ენის ცოდნა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. ინგლისური ენის შესწავლის კურსი მოიცავს ინტენსიურ კვირაში ორსაათიან ტრენინგს. სწავლების კურსი შესაბამისი დონეების მიხედვითაა დაყოფილი. ერთი დონის სწავლების ხანგრძლივობაა 3 თვე. ტრენინგი უზრუნველყოფილია მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის სხვადასხვა სავარჯიშოებით რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა მიმართულებით მიიღონ გამოცდილება.

ტრენინგის ხანგრძლივობა:თითო დონისთვის 3 თვე

ტრენინგის თარიღი:დეკემბერი, 2010 - ივლისი, 2012

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა): 40 -50 იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი

1.45 ფრანგული ენის კურსი

ტრენინგის მიზანი: იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ფრანგული ენის ცოდნის გაუმჯობესება, რაც საშუალებას აძლევს მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით გამოიყენონ ტრენინგზე მიღებული ენის ცოდნა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. ფრანგული ენის შესწავლის კურსი მოიცავს ინტენსიურ კვირაში სამსაათიან ტრენინგს. სწავლების კურსი შესაბამისი დონეების მიხედვითაა დაყოფილი. ერთი დონის სწავლების ხანგრძლივობაა 3 თვე. ტრენინგი უზრუნველყოფილია მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის სხვადასხვა სავარჯიშოებით, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს რომ სხვადასხვა მიმართულებით მიიღონ გამოცდილება.

ტრენინგის ხანგრძლივობა:თითო დონისთვის 3 თვე

ტრენინგის თარიღი: 13 დეკემბერი, 2011 - 13 მარტი, 2012; 2 აპრილი -2 ივლისი, 2012

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა): 21 იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი

1.46 რუსული ენის კურსი

ტრენინგის მიზანი: რუსთავისიუსტიციის სახლის თანამშრომლების რუსული ენის ცოდნის გაუმჯობესება, რაც საშუალებას აძლევს მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით გამოიყენონ ტრენინგზე მიღებული ენის ცოდნა.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. რუსული ენის შესწავლის კურსი მოიცავს ინტენსიურ კვირაში სამსაათიან ტრენინგს. სწავლების კურსი შესაბამისი დონეების მიხედვითაა დაყოფილი. ტრენინგი უზრუნველყოფილია მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის სხვადასხვა სავარჯიშოებით რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა მიმართულებით მიიღონ გამოცდილება.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 თვე

ტრენინგის თარიღი:3 იანვარი- 22 თებერვალი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):15 იუსტიციის სახლის თანამშრომელი

1.47თაღლითობის ტრენინგი პროკურორებისათვის

ტრენინგის მიზანი: პროკურატურის თანამშრომლებისათის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გაღრმავება თაღლითობის თემატიკასთან მიმართებით.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ლექციის ტიპის ტრენინგი, არსებული კანონმდებლობის დეტალური განხილვა, პრაქტიკული მაგალითები და დაგროვილ სირთულეებზე გადაჭრის გზების ძიება.

ტრენინგის თემატიკა:

- სისხლის სამართლის პროცესი,
- სისხლის სამართალი,
- სამოქალაქო სამართალი,
- სამოქალაქო სამართლის პროცესი,
- ნოტარიუსთა შესახებ კანონი,
- საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სერვისები

ტრენინგის ხანგრძლივობა: 8 საათი (1 დღე)

ტრენინგის თარიღი: 23 ივლისი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა) : 15 პროკურორი

1.48ტრენერთა ტრენინგი ეფექტიან მომსახურებაში (Inpact Factory - Train the trainer in Customer Service)

ტრენინგის მიზანი:საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენერთა მიერ მომსახურების ტრენინგის ეფექტიანად ჩატარების უნარ-ჩვევების განვითარება. ასევე, ეფექტიანი მომსახურების ტრენინგის პროგრამის დახვეწისა და განვითარებისათვის საჭირო ცოდნის, ინფორმაციის მიღება.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა: ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის მონაწილეები იღებენ თეორიულ ცოდნას განსხვავებულ საკითხებზე. ასევე, ისინი მონაწილეობენ დისკუსიებში, როლურ თამაშებშიდა ასრულებენ პრაქტიკულსავარჯიშოებს. როლური თამაშების, დისკუსიებისადაპრაქტიკულისავარჯიშოებისდახმარებით ტრენინგის მონაწილეები გამოიმუშავებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებისთვის საჭიროუნარ-ჩვევებს.

ტრენინგის თემატიკა:

- ტრენინგის ეფექტიანად ჩატარებისათვის გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები
- ტრენინგის ჩატარების ESA მეთოდი
- ტრენინგის სავარჯიშოების კონსტრუირება

ტრენინგის ხანგრძლივობა:35 საათი (5 დღე)

ტრენინგის თარიღი: 23-27 აპრილი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):8 იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელი

1.49 ზოგადი მენეჯმენტის ტრენინგი

ტრენინგის მიზანი:მენეჯერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიწოდება მენეჯმენტის სფეროში გარემოს დაცვის თანამშრომლებისათვის.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა:ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის მონაწილეები იღებენ თეორიულ ცოდნას განსხვავებულ საკითხებზე. ასევე, ისინი მონაწილეობენ დისკუსიებში, როლურ თამაშებშიდა ასრულებენ პრაქტიკულსავარჯიშოებს. როლური თამაშების, დისკუსიებისადაპრაქტიკულისავარჯიშოებისდახმარებით ტრენინგის მონაწილეები გამოიმუშავებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებისთვის საჭიროუნარ-ჩვევებს.

ტრენინგის თემატიკა:

- ადამიანური რესურსების მართვა
- ინოვაციები
- დროის მენეჯმენტი,
- ლიდერობა

ტრენინგის ხანგრძლივობა:48 საათი (6 დღე)

ტრენინგის თარიღი: 7-14 დეკემბერი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):გარემოს დაცვის სამინისტროს 24 თანამშრომელი.

1.50 ტრენინგი პროექტისთვის „ლიდერთა სახლი“

ტრენინგის მიზანი:დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების პროფორიენტაცია, სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა, ეფექტიანი კომუნიკაციის, ეფექტიანი პრეზენტაციისა და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება.

ტრენინგის ფორმატი/აღწერა:ტრენინგი ინტერაქტიულია. ტრენინგის მონაწილეები იღებენ თეორიულ ცოდნას განსხვავებულ საკითხებზე. ასევე, ისინი მონაწილეობენ დისკუსიებში, როლურ თამაშებშიდა ასრულებენ პრაქტიკულსავარჯიშოებს. როლური თამაშების, დისკუსიებისადაპრაქტიკულისავარჯიშოებისდახმარებით ტრენინგის მონაწილეები გამოიმუშავებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებისთვის საჭიროუნარ-ჩვევებს.

ტრენინგის თემატიკა:

- პროექტების მართვა
- ახალგაზრდული პროექტები,
- სამოქალაქო აქტივიზმის ქეისები,
- ეფექტიანი კომუნიკაციები
- პრეზენტაციის უნარ-ჩვევები,
- CV/სამოტივაციო წერილი/გასაუბრების ტექნიკები,
- მომავლის პროფესიები,
- ლიდერობა
- კარიერული მიზნების დასახვა

ტრენინგის ხანგრძლივობა:9 დღე (27 საათი)

ტრენინგის თარიღი: 28 ნოემბერი- 26 დეკემბერი

სამიზნე ჯგუფი (რაოდენობა):20სკოლის მოსწავლე

ტესტირებები

ცხრილში N3 მოცემულია ტესტირების მონაწილეთა განაწილება ტესტის ტიპის მიხედვით.

ცხრილი N3

#	ტესტი	მონაწილეთა რაოდენობა
1	ზოგადი უნარები	3525
2	ინტელექტის ტესტი	2059
3	პროფესიული ტესტი	870
4	სამართლებრივი წერა	407
5	ინგლისურის ტესტი	279
6	ნოტარიუსების საკვალიფიკაციო გამოცდა	39
7	პროფესიული დავალება	172

სულ:	**7351**

დიაგრამა N3-ზე მოცემულია ტესტირების მონაწილეთა პროცენტული განაწილება ტესტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა N3


ტესტირების მონაწილეთა პროცენტული განაწილება ტესტის მიხედვით
სამართალშემოქმედების ტესტი
0.4%
ნოტარიუსების საკვალიფიკაციო გამოცდა
0.7%
ინგლისურის ტესტი
3.8%
სამართლებრივი წერა
6.8%
პროფესიული ტესტი
10.8%
ინტელექტის ტესტი
30.4%
ზოგადი უნარები
47.2%
0.0%
10.0%
20.0%
30.0%
40.0%
50.0%

ტესტირებებისა და ტრენინგების შედარებითი სტატისტიკა

2012 წელს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ტრეინინგები გაიარა სხვადასხვა სამსახურის **9338** წარმომადგენელმა. ხოლო, ტესტირება **7351–მა** კანდიდატმა გაიარა.

დიაგრამა 4: *ტრენინგებისა და ტესტირების სედარებითი სტატისტიკა.*